ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 03-05/ №25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 01 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის, ხასან ფუტკარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,, საუნჯე-ბ” ,ს.კ. 445479394, მისამართი: ქ. ბათუმი, ი.ჯავახიშვილის ქ. 53 , (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმომადგენელი დირექტორის დავით ბარამიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მხატვრული ლიტერატურისა და საკანცელარიო საქონლის (შემდგომში საქონელი) მიწოდება, ხოლო „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 163,35(ასსამოცდასამი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს. მათ შორის:

3.1.1.ნაბეჭდი წიგნები-CPV 22110000-105.75(ასხუთი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი;

3.1.2.სავარჯიშო რვეულები- CPV 22830000-32,40 (ოცდათორმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;

3.1.3.ორგანაიზერები და აქსესუარები- CPV 30193000-25,20(ოცდახუთი ლარი და ოცი თეთრი).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს წარმოშობილი საჭიროების მიხედვით მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა .

4.2. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი პაპოშვილები

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების და ტექნიკური მახასიათებლების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიმსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.
7.2. საქონლის საგარანტიო პერიოდია.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს/აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რომელსაც გამოავლენს საქონელი მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის პირობებში.
7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.
7.5. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 15 პროცენტს, მხარეს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მიმწოდებელი თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა
12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა
13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები
14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელისმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის	შპს „საუნჯე-ბ”
სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლა	
მის: შუახევის მუნიციპალიტეტი	მის: ქ.ბათუმი ი.ჯავახიშვილის ქ #53
სოფელი პაპოშვილები	ტელ (0422) 246535
ტელ: 577175751 591 71 91 41	ს/კ: 445479394
ს/კ: 247863995	ბანკი: თიბისიბანკი
ბანკი ს.ს „საქართველოს ბანკი“	ბანკის კოდი TBCBGE22
ბანკის კოდი BAGAGE22	ა/ა GE55TB7156636080100004
ა/ა GE66BG0000000972916800	
დირექტორი ხასან ფუტკარაძე	დირექტორი დავით ბარამიძე
---	---

მიღება-ჩაბარების აქტი

ქალაქი ბათუმი

26 სექტემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „საუნჯე-ბ“ , წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ბარამიძის სახით (შემდგომში-„ჩამბარებელი“), ხოლო მეორეს მხრივ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხასან ფუტკარაძის სახით (შემდგომში-„მიმღები“) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ჩამბარებელმა“ ჩააბარა, ხოლო „მიღებმა“ მიიღო 2016 წლის 01 სექტემბერს გაფორმებული # 03-05/ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (სასაქონლო ზედნადები # ელ-0260914012) მთლიანი ღირებულებით 163,35 (ასსამოცდასამი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ჩააბარა	მიიღო
დავით ბარამიძე	ხასან ფუტკარაძე
---	---

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0260914012

2	11/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	18:01:54

დრო (საათი, წუთი)

4	შპს საუნჯე-ბ	445479394
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლა	247863995
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ბათუმი ჯავახიშვილის 53 მაღაზია

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	შუახევი ს.პაპოშვილები

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	0

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო სამუალების სახელმწიფო ნომერი

მისამბული

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	შიშს დიდი თვალები აქვს 6 ფაზლით	შუახევი1	ცალი	1.0000	9.0000	9.0000
2	ზღარბუნიას ქორწილი ზოია ვაშაკიძე 6 ფაზლით	შუახევი2	ცალი	1.0000	9.0000	9.0000
3	ჯუჯები ფაზლით	შუახევი3	ცალი	1.0000	9.9000	9.9000
4	ჩემი პირველი ასაწყობი წიგნი წელიწადის დროები	შუახევი4	ცალი	1.0000	7.2000	7.2000
5	სწავლობს გიგლა ტიტინა მაღლაკელიძე	შუახევი5	ცალი	1.0000	8.1000	8.1000
6	ჩემი არდადეგების წიგნი	შუახევი6	ცალი	1.0000	5.4000	5.4000
7	ვიმეცადინოთ არდადეგებზე	შუახევი7	ცალი	1.0000	10.8000	10.8000
8	არდადეგების წიგნი 8/ს	შუახევი8	ცალი	1.0000	9.9000	9.9000

13	163.35 - ას სამოცდასამი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	13/11/2016	14:39:00
		თარიღი (რიცხვი,თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/11/2016, 10:42:31

0260914012 სასაქონლო ზედნადების დანართი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
9	მეხსიერების ტესტი 3დან 6წლამდე	შუახევი9	ცალი	1.0000	4.0500	4.0500
10	ქართული ხალხური ზღაპრები ფაზლით	შუახევი10	ცალი	1.0000	12.6000	12.6000
11	ვისწავლოთ და გავერთოთ ბავშვებთან ერთად წგ1	შუახევი11	ცალი	1.0000	10.8000	10.8000
12	წ/ყ/ბ ოზის ჯადოქარი	შუახევი12	ცალი	1.0000	0.9000	0.9000
13	15 წთ–ში წასაკითხი ამბავი მგელი და მეკიოლინე	შუახევი13	ცალი	1.0000	2.7000	2.7000
14	5 წთ–ში წასაკითხი ამბავი მელა და ჭა ბ/ს	შუახევი14	ცალი	1.0000	2.7000	2.7000
15	ჩვენი პლანეტა ბ/ს	შუახევი15	ცალი	1.0000	1.8000	1.8000
16	შინაური ცხოველები ბ/ს	შუახევი16	ცალი	1.0000	1.8000	1.8000
17	შენი სხეული ბ/ს	შუახევი17	ცალი	1.0000	1.8000	1.8000
18	10 წთ–ში წასაკითხი ამბავი მოპარული ქათამი	შუახევი18	ცალი	2.0000	2.7000	5.4000
19	სოფიო ჭინჭარაშვილი კოლოფი	შუახევი19	ცალი	1.0000	9.0000	9.0000
20	მაია ბლიაძე ბუნება ბ/ს	შუახევი20	ცალი	1.0000	9.0000	9.0000
21	კითხვი გაკვეთილები მოსწავლის რვეული 2 3 4 კლასელთათვის	შუახევი21	ცალი	2.0000	3.1500	6.3000
22	ორგანაიზერი	შუახევი22	ცალი	1.0000	25.2000	25.2000

13	163.35 - ას სამოცდასამი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	13/11/2016	14:39:00

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/11/2016, 10:42:32

გადახდო დავალება No 0481

Transfer Order No 0481

ვალუტირების თარიღი/Value Date: 29/09/2016   რეფერენსი/reference: 4793721105

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: სსიპ შუახევის მუნიც. ს. პაპოშვილების საჯარო სკოლა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE66BG0000000972916800GEL	თანხა/Amount: 163.35 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words: ას სამოცდასამი ლარი 35 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სსიპ შუახევის მუნიც. ს. პაპოშვილების საჯარო სკოლა	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 247863995	
მიმღების დასახელება/Recipient: შპს "საუნჯე-8"	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE55TB7156636080100004	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:
მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code: TBCBGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 29/09/2016
გადახდის დანიშნულება/Description: სსმ მოსწავლისათვის შეძენილი წიგნების თანხა		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:		შტამპი: ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: [signature]	შტამპი:	ვალუტირების თარიღი/Value Date:
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

AKHEVI PUBLIC SCHOOL VILLAGE PAPOSHV… MUNICIPALITY OF … 247863995